

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის, სლავისტიკის, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებში ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2025 წლის 6 აგვისტოს N173/01-01 საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის N52/2025 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№4 ოქმი(შემაჯამებელი)

ქ. თბილისი

“9” ოქტომბერი 2025 წ.

17.00 საათი, თსუ V კორპუსი, აუდიტორია № 227

სხდომას ესწრებოდა კომისიის 11 წევრიდან 11 წევრი:

მანანა რუსიშვილი- თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე)

ბელა ხაბეიშვილი- თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)

რუსუდან დოლიძე -თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი)

ნანა ტონია - თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

მარიამ ფილინა - თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

ქეთევან ნადარეიშვილი- თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

მაია დარასელია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ელისო ქორიძე აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ნუგეშა გაგნიძე - აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

მაია ჯავახიძე -თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

მანანა ფხაკაძე --თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

დღის წესრიგი:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე
 - ა) დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრა (ინგლისური ენა) ასოცირებული პროფესორის 3 (სამი) საშტატოერთეული (კატეგორია „ა“), გერმანული ფილოლოგიის კათედრა (გერმანული ენა) ასოცირებული პროფესორის 4 (ოთხი) საშტატოერთეული (კატეგორია „ა“) და (გერმანული ლიტერატურა) ასოცირებული პროფესორის 1 (ერთი) საშტატოერთეული (კატეგორია „ა“), რომანული ფილოლოგიის კათედრა (ესპანური ენა) ასოცირებული პროფესორის 1 (ერთი) საშტატოერთეული (კატეგორია „ა“) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
 - ბ) სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში - რუსული ენის კათედრა ასოცირებული პროფესორის 2 (ორი) საშტატოერთეული (კატეგორია „ა“) და რუსული ლიტერატურის კათედრა ასოცირებული პროფესორის 1 (ერთი) საშტატოერთეული (კატეგორია „ა“) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
 - გ) კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში - კლასიკური ფილოლოგიის კათედრა ასოცირებული პროფესორის 1 (ერთი) საშტატოერთეული (კატეგორია „ა“) და ასოცირებული პროფესორის 2 (ორი) საშტატოერთეული (კატეგორია „გ“) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ, მანანა რუსიშვილმა მოახსენა წევრებს საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე **დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის** ინგლისური ფილოლოგიის კათედრა (ინგლისური ენა) ასოცირებული პროფესორის 3 (სამი) სამტატო ერთეულზე (კატეგორია „ა“), საბუთები შემოიტანა 3 კანდიდატმა- ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ნინო დარასელიამ, ფილოლოგიის დოქტორებმა ირინა გველესიანმა და ნათელა ნემსაძემ.

ნინო დარასელიამ შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება **კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს**; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო **მაღალი** შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო **მაღალი** შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა ასევე მიიღო **მაღალი** შეფასება.

კომისიამ იმსჯელა ნინო დარასელიას პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილებაზე (32 წელი). ამ პერიოდის მანძილზე პრეტენდენტობის ხელშეწყობის როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ კურსებს ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისთვის, რაც აისახა მის წარმოდგენილ სილაბუსებში, რომლებიც კომისიამ თსუ-ს მოთხოვნებთან შესაბამისად მიიჩნია.

კომისიამ მხედველობაში მიიღო ნინო დარასელიას ნაყოფიერი მუშაობა ყველა საფეხურის სტუდენტებთან: 2008 წლიდან ის არის ინგლისური ფილოლოგიის კათედრასთან არსებული სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი; მისი ორგანიზებით ტარდება ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტთა ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია. ნინო დარასელიას ხელმძღვანელობით შესრულდა 39 სამაგისტრო ნაშრომი (ბოლო 6 წლის განმავლობაში - 9), 2 საკანდიდატო და 10 სადოქტორო დისერტაცია (ბოლო 6 წლის განმავლობაში 4).

კომისიამ მაღალი შეფასება მისცა ნინო დარასელიას აკადემიურ გამოცდილებას (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, 2006 წ დაფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი 1986 წელს), გამოქვეყნებულ შრომებს (1 მონოგრაფია და 50 სამეცნიერო სტატია; მონაწილეობა 29 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში კოგნიტური და კომუნიკაციური ლინგვისტიკის შეპირისპირებითი ასპექტების თვალსაზრისით); ასევე, შეაფასა პრეტენდენტის მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი ნაშრომი და დარგის განვითარების კონცეფციასაც.

გასაუბრებლისას ნ.დარასელიამ აღნიშნა, რომ მისი სამეცნიერო ინტერესის სფეროს წარმოადგენს როგორც კოგნიტური ასევე კომუნიკაციური ლინგვისტიკა. ასევე ისაუბრა

საკვლევ ინტერესებსა და საკონკურსოდ წარმოდგენილ სტატიაზე, "Metaphors of Conscience in Georgian and English", რომელიც დაიბეჭდა საერთაშორისო კრებულში Studien zur Text-und Diskursforschung, band 30, Inter- and Intralinguistic Contrasts. Lausanne-Berlin-Bruxelles-Chennai-New York-Oxford: Peter Lang, 2023 და სწორედ კოგნიტური ლინგვისტიკის პერსპექტივიდან განიხილავს სინდისის კონცეპტის მეტაფორიზაციას ინგლისურ დაქართულ ენათა მასალაზე და ავლენს აღნიშნული კონცეპტის მეტაფორიზაციისას ორენასა და კულტურას შორის მსგავს და კულტურის სპეციფიკით განპირობებულ მახასიათებლებს.

ირინე გველესიანმა შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „**კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს**“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო **მაღალი** შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო **მაღალი** შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო **მაღალი** შეფასება.

კომისიამ მიიჩნია, რომ ირინა გველესიანი აქტიურად არის ჩართული თსუ ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე მიმდინარე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. მის მიერ წარმოდგენილი სილაბუსები შეესაბამება თსუ-ს მოთხოვნებს.

ი. გველესიანს გამოქვეყნებული აქვს 3 მონოგრაფია და სტატიები ადგილობრივ და უცხოურ საერთაშორისო ჟურნალებში, რომლებიც ინდექსირებულია სხვადასხვა მონაცემთა ბაზაში, მათ შორის, Scopus-სა და Web of Science-ში; მონაწილეობა აქვს მიღებული ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, მოპოვებული აქვს გრანტები (ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის კვლევების განყოფილების გრანტი, გენტის უნივერსიტეტის გრანტი და სხვა). ხელმძღვანელობს სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებს.

კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი ნაშრომი და დარგის განვითარების კონცეფცია კარგადასახავს ი. გველესიანის სამეცნიერო-კვლევით შესაძლებლობებს და შეესაბამება საკონკურსო მოთხოვნებს.

გასაუბრებისას ირინა გველესიანმა განიხილა სპეციალიზებული შედარებით-პარალელური კორპუსის შექმნის აუცილებლობა ერთი ენის რამდენიმე ვარიანტში წარმოდგენილი იურიდიული ტერმინების კვლევის პროცესში. ამასთანავე, აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიიჩნევს ლექსიკური ერთეულების შესწავლას როგორც სინქრონულ, ისე დიაქრონიულ ჭრილში, რაც ასახულია მის მონოგრაფიებსა და სტატიებში. პრეტენდენტმა აღნიშნა, რომ აქტიურად მონაწილეობს გაცვლით პროგრამებსა და საგრანტო პროექტებში, რაც შესაძლებლობას აძლევს ითანამშრომლოს უცხოელ კოლეგებთან და მათთან ერთად შეიმუშავოს თანამედროვე უცხოენოვანი ტერმინების სისტემატიზაცია-მოწესრიგების პრინციპები.

ნათელა ნემსაძემ შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

კომისიამ საყურადღებოდ მიიჩნია ნ. ნემსაძის პედაგოგიური გამოცდილება (1992 წლიდან, აქედან თსუ-ში 1994 წლიდან). საანგარიშო პერიოდში მის მიერ წაკითხული კურსების სილაბუსები სრულ შესაბამისობაშია თსუს მოთხოვნებთან. საკონკურსო მოთხოვნებს შეესაბამება ასევე ნ. ნემსაძის აკადამიური საქმიანობა (ფილოლოგიის დოქტორი 1994 წლიდან), პროფესიულისტაჟირება (რედიგისა და ოქსფორდის უნივერსიტეტები, ბრიტანეთი); მისი საქმიანობა სტუდენტებთან (15 მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, 6 დაცული სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი); ასევე, მის მიერ გამოქვეყნებული შრომები როგორც ადგილობრივ, ისე საზღვარგარეთის გამოცემებში.

კომისიამ მოიწონა ნ. ნემსაძის როგორც სინქრონისტ-თარჯიმნის მოღვაწეობა, მისი წარმოდგენილი ნაშრომი და დარგის განვითარების პერსპექტივა.

გასაუბრებისას ნათელა ნემსაძემ ისაუბრა სამეცნიერო ინტერესების სფეროებზე, რომელიც საკმაოდ ფართოა და მოიცავსლინგვისტურ პრაგმატიკას, სემანტიკას, კოგნიტიურლინგვისტიკას;სინქრონული თარგმანის ძირითადი სტრატეგიებსა და სასამართლო

ლინგვისტიკა. ასევე, იმსჯელა საკონკურსოდ წარმოდგენილ სტატიაზე, რომელიც დაიბეჭდა იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში European Scientific Journal (ტომი 21, ნომერი 41, 2025).

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტების (ნ. დარასელია, ი გველესიანი და ნ.ნემსაძე) პროფესიული უნარ-ჩვევები, გამოცდილება, მათ მიერ გასაუბრების დროს გამომჟღავნებული გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ

ნინო დარასელიასსახასიათებს ღრმა საგნობრივი ცოდნა და მის მიერ წარმოდგენილ სილაბუსებში აღწერილი კურსების სწავლების გამოცდილება. მის მიერ წარმოდგენილი სილაბუსები და მათი სამეცნიერო საქმიანობა სრულ თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. ნინო დარასელიას შეუძლია წვლილი შეიტანოს უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების შემდგომ განვითარებაში.

ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (11 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე), ერთხმად დაუჭირა მხარი ნინო დარასელიას კანდიდატურას.

დაადგინეს: სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში (ინგლისური ფილოლოგია კათედრა) ასოცირებული პროფესორის (ინგლისური ენა) ვაკანსიაზე (კატეგორია „ა“) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს: **ნინო დარასელია**.

ირინა გველესიანს ახასიათებს ღრმა საგნობრივი ცოდნა და მის მიერ წარმოდგენილ სილაბუსებში აღწერილი კურსების სწავლების გამოცდილება. ირინა გველესიანის მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი სილაბუსები და პრეტენდენტის სამეცნიერო საქმიანობა სრულ თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. ირინა გველესიანს შეუძლია წვლილი შეიტანოს უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების შემდგომ განვითარებაში.

ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (11 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე), ერთხმად დაუჭირა მხარი ირინა გველესიანის კანდიდატურას.

დაადგინეს: სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში (ინგლისური ფილოლოგია კათედრა) ასოცირებული პროფესორის (ინგლისური ენა) ვაკანსიაზე (კატეგორია „ა“) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს: **ირინა გველესიანი**.

ნათელა ნემსაძე არის კომპეტენტური და გამოცდილი პროფესორი, მას აქვს საკონკურსოდ წარმოდგენილ სილაბუსებში აღწერილი კურსების სწავლების ხანგრძლივი და ეფექტური გამოცდილება. მისი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა სრულ თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან.

ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (11 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე), ერთხმად დაუჭირა მხარი ნათელა ნემსაძის კანდიდატურას.

დაადგინეს: სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში (ინგლისური ფილოლოგია კათედრა) ასოცირებული პროფესორის (ინგლისური ენა) ვაკანსიაზე

(კატეგორია „ა“) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს: ნათელა ნემსაძე

ბ) გერმანული ფილოლოგიის კათედრა (გერმანული ლიტერატურა) ასოცირებული პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეული (კატეგორია „ა“), საბუთები შემოიტანა კონსტანტინე ბრეგაძე.

კონსტანტინე ბრეგაძემ შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „**კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს**“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო **მაღლი** შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო **მაღალი** შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო **მაღალი** შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური შფასებისას გაითვალისწინა, რომ ის 2012 წლიდან არის ასოცირებული პროფესორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ ხნის მანძილზე ის ჩართული იყო და არის საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში, კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს, მის მიერ შესაძლო წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში ასახელებს საგნებს, რომლებიც გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი. კონსტანტინე ბრეგაძის აქვს მის მიერ წარმოდგენილი კურსების სილაბუსების სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურზე. მის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმითა და შინაარსით სრულიად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში იკვეთება კვლევითი სიახლეების ძიება, მათი სასწავლო და სამეცნიერო პრაქტიკაში რეალიზაცია და სიახლეების დანერგვის პრაქტიკა. კომისიამ მოიწონა აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევების კონცეფცია, რომელშიც ნათლადაა გამოკვეთილი დარგის განვითარებისათვის აუცილებელი ნაბიჯები, კერძოდ, გერმანული ლიტერატურის სწავლების კომპონენტის გაძლიერება სასწავლო პროგრამაში.

კონსტანტინე ბრეგაძის მონოგრაფიები და სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნებულია მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებსა და საერთაშორისო საკონფერენციო

მასალებში საქართველოში და საზღარგარეთ; ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მოთხოვნებს.

კონკურსანტი მრავალი წელია სისტემატიურად მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში; მას ინტენსიური და ნაყოფიერი ურთიერთობა აქვს გერმანიის სასწავლო და სამეცნიერო ცენტრებთან. სამეცნიერო-კვლევითმა მივლინებებმა ვაიმარსა (გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების მიწვევით) და ჰაინრიხ ჰაინეს დიუსელდორფის უნივერსიტეტში მას შესაძლებლობა მისცა დაესრულებინა მონოგრაფიები „გოეთეს *ფაუსტი*. სიმბოლიკა და პოეტიკა“ და „ორი ცდა გოეთეზე: გოეთეს მსოფლმხედველობა“.

განსაკუთრებით საყურადღებოა კონსტანტინე ბრეგადის მუშაობა სტუდენტებთან. ის პერიოდულად არის სადოქტორო დისერტაციების ოფიციალური შემფასებელი და, ასევე, სადისერტაციო კომისიის წევრი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კონკურსანტს წლების მანძილზე დაუგროვდა დიდი გამოცდილება როგორც გერმანული ლიტერატურის მკვლევარს და უნივერსიტეტის პედაგოგს. დარწმუნებული ვართ, როგორც გერმანული ფილოლოგიის ასოცირებული პროფესორი იგი გააგრძელებს მასზე დაკისრებული მოვალეობებს ჩვეული პროფესიონალიზმითა და დიდი პასუხისმგებლობით შესრულებას.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები. გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ იგი ღრმად ერკვევა არა მარტო გერმანული ლიტერატურის პრობლემურ საკითხებში ადრეული შუასაუკუნეებიდან დღემდე, არამედ დასავლეთევროპულ და ამერიკულ ლიტერატურაში, ქართულ ლიტერატურასა და ფილოსოფიაში. იგი შესანიშნავად თარგმნის გერმანულიდან ქართულად, რაც კარგად ჩანს მის მონოგრაფიებსა და პუბლიკაციებში გამოყენებული ტექსტების ციტირებისას.

ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (11 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე), ერთხმად დაუჭირა მხარი კონსტანტინე ბრეგადის კანდიდატურას.

დაადგინეს: სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში გერმანული ფილოლოგია (კათედრა) ასოცირებული პროფესორის (გერმანული ლიტერატურა) ვაკანსიაზე (კატეგორია „ა“) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს: **კონსტანტინე ბრეგაძე**

გერმანული ფილოლოგიის კათედრა (გერმანული ენა) ასოცირებული პროფესორის 4 (ოთხი) საშტატო ერთეული (კატეგორია „ა“), საბუთები შემოიტანა 5 კანდიდატმა- მარიამ ანდრაზაშვილმა, ნუნუ კაპანაძემ, ნინო ქიმერიძემ, მანანა ღამბაშიძემ, სოფიო მუჯირმა.

მარიამ ანდრაზაშვილმა შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ კონკურსანტი უკვე მრავალი წელია მოღვაწეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაეწევა როგორც პედაგოგიურ, ასევე სამეცნიერო მიმართულებით წარმატებულსაქმიანობას. მის მიერ წარმოდგენილი სილაბუსები მოიცავს საუნივერსიტეტო სწავლების როგორც პირველ, ასევე მეორე საფეხურს. კონკურსანტს აქვს მათიწაკითხვის მრავალწლიანი გამოცდილება. კურსების სილაბუსები ფორმითა და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ პროფესიულ ვორქშოპებსა და ტრენინგებში მონაწილეობაცხადყოფს მ. ანდრაზაშვილისმისწრაფებას ახალი და და უახლესი მეთოდური და სამეცნიერო სიახლეების ძიებისაკენ.

მ. ანდრაზაშვილს 6 წლის მანძილზე გამოქვეყნებული აქვს 23 ნაშრომი მაღალ რეიტინგულ ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და საკონფერენციო მასალებში და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას. ასევე, კონკურსანტმა მონაწილეობა მიიღო საქართველოსა და უცხოეთში გამართულ 11 საერთაშორისო კონფერენციაში, მონაწილეობს 3 საერთაშორისო პროექტში და თანამშრომლობს 9 საერთაშორისო ცენტრთან.

კომისიამ მაღალი შეფასება მისცა მ. ანდრაზაშვილის მიერ წარმოდგენილ ნაშრომს და დარგის განვითარების კონცეფციას.

გასაუბრების დროს, მ. ანდრაზაშვილმა იმსჯელა საკვლევ ინტერესებზე, რომელიც მოიცავს როგორც ნათემეცნიერულ-თეორიულ, ასევე გამოყენებით, დიდაქტიკურ, ლექსიკოგრაფიულ ასპექტებს. კონკურსანტს განსაზღვრული აქვს სამომავლოდ საგნის „შეცდომათა ლინგვისტიკა“ ჩართვა შესაბამისი დარგის სამაგისტრო პროგრამაში. ასევე, მისი ინტერესის საგანია სოციოლინგვისტური კომპლექსურისაკითხვების კვლევა, არეალური ლინგვისტიკა და კვლევის შედეგების წარდგენა ბერლინის ყოველწლიურ კოლოქვიუმზე. კონკურსანტს დაგეგმილი აქვს კვლევა

„სახელმცოდნეობისა და სახელტრანსფერის შესახებ გერმანულ-ქართულკონტექსტში. ასევე, ნაშრომის“ გერმანული გრამატიკა ევროპულ კონტექსტში.

ნუნუ კაპანაძემ შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება **„კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“**; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო **მაღალი** შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო **მაღალი** შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო **მაღალი** შეფასება.

კომისიამ მხედველობაში მიიღო, რომ კონკურსანტი მრავალი წელია მოღვაწეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ეწევა წარმატებულპედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას. მის მიერ წარმოდგენილი სილაბუსები მოიცავს საუნივერსიტეტო სწავლების როგორც პირველ, ასევე მეორე საფეხურს. კონკურსანტს აქვს მათი წაკითხვის მრავალწლიანი გამოცდილება. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმითა და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ. კონკურსანტს ასევე შექმნილი აქვს ელექტრონული კურსი „გერმანული ენის ისტორიაში,“ რაც ადასტურებს კონკურსანტის მიზნებს ინოვაციური სწავლების თვალსაზრისით.

წარმოდგენილი ვორქშოპებითა და ტრენინგებით (9 აქტივობა) თვალსაჩინოა კონკურსანტის მისწრაფებები ახალი და და უახლესი მეთოდური და სამეცნიერო სიახლეების ძიებისაკენ. საყურადღებოა ნ.კაპანაძის მიერ სტუდენტებთან მუშაობა, რომელიც ბოლო 6 წლის მანძილზე მოიცავს 3 სადოქტორო ნაშრომის, 3 სამაგისტრი და 3 საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობას. მან ასევე გერმანულიდან ქართულად თარგმნა მნიშვნელოვანი ნაშრომები - 1 სახელმძღვანელო და 1 მონოგრაფია.

ნ. კაპანაძეს გამოქვეყნებული აქვს 50-მდე სტატია მაღალრეიტინგულ, ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და საკონფერენციო მასალებში. კვლევის მიმართულებები მრავალფეროვანია და მოიცავს კომპარატიულ, მეთოდურ-დიდაქტიკურ, ლექსიკოგრაფიულ და ენის ტექნოლოგიებს. გარდა ამისა, ბოლო 6 წლის მანძილზე კონკურსანტს მონაწილეობა აქვს მიღებული 4 საერთაშორისო კონფერენციაში, როგორც საქართველოში, ასევე პოლონეთსა და იტალიაში. იგი აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო სასწავლო-კვლევით პროექტებში და ნაყოფიერად თანამშრომლობს პარტნიორობის ფარგლებში ჰაიდელბერგის უნივერსიტეტთან.

კომისიამ მაღალი შეფასება მისცა ნ.კაპანაძის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოადგინა 2022 წელს საერთაშორისო ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიასა და დარგის განვითარების ხედვას;

გასაუბრების დროს ნ.კაპანაძემ ისაუბრა საკონკურსოდ წარმოდგენილ სტატიასა და დარგის განვითარების კონცეფციაზე, სადაც გამოთქმულია საინტერესო და ინოვაციური მოსაზრებები გერმანისტიკის სამომავლო პერსპექტივების შესახებ, ყურადღებაა გამახვილებული საუნივერსიტეტო სწავლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) კვალიფიკაციაზე და აღნიშნულია, რომ სასურველია სასწავლო გეგმაში თეორიული კომპონენტის გვერდით, გამოყენებითი კომპონენტის მოდიფიცირება და გაძლიერება, რათა კურსდამთავრებული ადიჭურვოს შესაბამისი უნარ-ჩვევებით, რაც მას შესაძლებლობას მისცემს დასაქმდეს შრომით ბაზარზე.

ნინო ქიმერიძეშეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „**კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს**“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან)მიიღო **მაღალი** შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო **მაღალი** შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო **მაღალი** შეფასება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ კონკურსანტი უკვე მრავალი წელია მოღვაწეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ეწევა როგორც პედაგოგიურ, ასევე სამეცნიერო მიმართულებით წარმატებულ საქმიანობას. მის მიერ წარმოდგენილია სილაბუსები, რომლებიც მოიცავს საუნივერსიტეტო სწავლების როგორც პირველ, ასევე მეორე საფეხურს. კონკურსანტს აქვს მათი წაკითხვის მრავალწლიანი გამოცდილება. მის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმითა და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტის შეხედულებისამებრ შერჩეული პუბლიკაციები (31 შრომა, აქედან 3 სახელმძღვანელო) დაბეჭდილია მაღალ რეიტინგულ ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და საკონფერენციო მასალებში და სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას. კვლევის მიმართულებები მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც ტექსტზე, ასევე ენის ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ საინტერესო და აქტუალურ მოსაზრებებს და კონცეფციებს.

კომისიამ მოიწონა კონკურსანტის ბოლო 6 წლის მანძილზე გაწეული საქმიანობა, რომელიც მოიცავს 3 საერთაშორისო და 3 ადგილობრივ კონფერენციას, 9 საგრანტო პროექტს;

კონკურსანტი თანამშრომლობს 8 საერთაშორისო ცენტრთან. იგი აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო სასწავლო-კვლევით პროექტებში და ნაყოფიერად თანამშრომლობს პარტნიორობის ფარგლებში ჰაიდელბერგის უნივერსიტეტთან.

გასაუბრებაზე ნინო ქიმერიძემ იმსჯელა კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილსტატიაზე, რომელშიც გამოკვლეულია თანამედროვე ლინგვისტური გერმანისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ სამოტივაციო წერილში გამოთქმულიასაინტერესო და ინოვაციური მოსაზრებები გერმანისტიკის დარგის სამომავლოპერსპექტივების შესახებ. საყურდღებოა კონკურსანტის მოსაზრებები ტექსტისადა დისკურსის პრობლემატიკაზე, შედარებით კვლევებზე, დარგობრივიტექსტების სპეციფიკაზე. ინოვაციური და უაღრესად აქტუალურიაკონკურსანტის მოსაზრებები ინტერდისციპლინური კურიკულუმების შექმნისშესახებ, რაც ეყრდნობა მის მიერ მიღებულ გამოცდილებას და საერთო ევროპულსაგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე აქტუალურ პროცესებს.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემის და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველებისმანერა.

მანანა ღამბაშიძემ შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „**კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს**“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან)მიიღო **საშუალო** შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო **დაბალი** შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო **დაბალი** შეფასება.

კომისიამ ყურადღება მიაქცია ფაქტს, რომ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობა მოიცავს მხოლოდ 2007 წლამდე პერიოდს, ხოლო კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში და ტრენინგებში ბოლო აქტივობა 2012 წლითაა წარმოდგენილი.

კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული სასწავლო კურსები გათვალისწინებულია, როგორც საუნივერსიტეტო სწავლების პირველი, ასევე მეორე საფეხურისათვის. მათგან „გერმანული ენის სემასიოლოგია“ არ შეესაბამება თსუ-ში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმას, ხოლო „გერმანული ენის კომპლექსური წინადადების სინტაქსი“ - ნაწილობრივ შესაბამისობაშია თსუს მოთხოვნებთან.

მ. ღამბაშიძის მიერ სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მიმართულებით წარმოდგენილია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში დაბეჭდილი 5 სტატია, ხოლო

სავალდებულო პუნქტების (ბოლო 6 წლის მანძილზე მოხსენებები საერთაშორისო, ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე, საგრანტო პროექტები და სხვ.) დამადასტურებელი აქტივობები არ არის წარმოდგენილი.

გასაუბრების დროს მანანა ღამბაშიძემ იმსჯელა საკონკურსოდ წარმოდგენილ სტატიაზე, რომლის მიმართ კომისიის წევრებს ჰქონდათ შეკითხვები დამნიშვნელოვანი შენიშვნები. იგივე შეიძლება ითქვას მ.ღამბაშიძის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევების კონცეფციის შესახებ, რომლის ძირითადი ნაწილი ეძღვნება კონკურსანტის მიერ დაცული სადისერტაციო ნაშრომისა და წარმოდგენილი სტატიის განხილვას და გაანალიზებას. აქვე აღნიშნულია, რომ კონკურსანტი გეგმავს სამომავლოდ მათ წიგნებად გამოცემას. კონცეფციის ბოლო მონაკვეთი ეძღვნება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, მეცნიერული ეთიკის და სხვ. ზოგად საკითხებს. წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის გამოკვეთილი კონკურსანტის მიმდინარე და სამომავლო კვლევითი საქმიანობის მიზნები და პერსპექტივები და, შესაბამისად, არ ჩანს კონკურსანტის მოსაზრებები ქართული ენათმეცნიერული გერმანისტიკის დარგის სამომავლოდ განვითარების შესახებ.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემის და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად მიღებული მოსაზრებების საფუძველზე დადგინდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა არ არის სრულ შესაბამისობაში გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან.

სოფიო მუჯირმაპირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება **„კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“**; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო **მაღალი** შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო **მაღალი** შეფასება.

კომისიამ მხედველობაში მიიღო, რომ მრავალი წელია კონკურსანტი მოღვაწეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაეწევა წარმატებულ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილია სილაბუსები მოიცავს საუნივერსიტეტო სწავლების როგორც პირველ, ასევე მეორე საფეხურს. კონკურსანტს აქვს მათი წაკითხვის მრავალწლიანი გამოცდილება. მის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმითა და შინაარსით სრულად აკმაოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

ბოლო 6 წლის მანძილზე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ვორქშოპები დატრენინგები (სულ 43 აქტივობა) ადასტურებს კონკურსანტის მისწრაფებებს ახალიდა უახლესი მეთოდური და სამეცნიერო სიახლეების მიებისაკენ.

კონკურსანტს გამოქვეყნებული აქვს სერიოზული აკადემიური ნაშრომები მაღალ რეიტინგულ ადგილობრივ დასაერთაშორისო ჟურნალებსა და საკონფერენციო მასალებში;არის 3 მონოგრაფიისა და 8 სახელმძღვანელოს ავტორი.

კონკურსანტი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო უცხოურ ცენტრებთან და მონაწილეობს საერთაშორისო საგრანტოპროექტებში (4 გრანტი). განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნაყოფიერი თანამშრომლობა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტთან.

გასაუბრების დროს, კომისიამ მაღალი შეფასება მისცა საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილ სტატიასა და დარგის განვითარების კონცეფციას, რომელშიც გამოთქმულიასაინტერესო და ინოვაციური მოსაზრებები გერმანისტიკის დარგის სამომავლოსამეცნიერო პერსპექტივების შესახებ. აქცენტი გაკეთებულია, როგორცმთარგმნელობით, ასევე მეთოდურად სწორად წარმართულ ინტერფერენციისპრობლემატიკაზე. აქვე აღნიშნულია, რომ ფოკუსით მარკირებული ნაწილაკებისგასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემის და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველებისმანერა.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტების პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემის და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად მიღებული მოსაზრებების საფუძველზე დაადგინა პრეტენდენტის კანდიდატურების შესაბამისობა გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან. კერძოდ, კომისიამ დაადგინა, რომ

მარიამ ანდრაზაშვილის განათლება, სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული უნარ-ჩვევები, მონაცემები, მიღწევები სრულად შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან და საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. მარინა ანდრაზაშვილი არის კომპეტენტური და გამოცდილი პროფესორი, მას აქვს საკონკურსოდ წარმოდგენილ სილაბუსებში აღწერილი კურსების სწავლების გამოცდილება. მისი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა სრულ თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან.

ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (11 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე), ერთხმად დაუჭირა მხარი მარინა ანდრაზაშვილის კანდიდატურას.

დაადგინეს: სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში გერმანული ფილოლოგია კათედრა) ასოცირებული პროფესორის (გერმანული ენა) ვაკანსიაზე (კატეგორია „ა“) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს: **მარიამ ანდრაზაშვილი**

ნუნუ კაპანაძის განათლება, სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული უნარ-ჩვევები, მონაცემები, მიღწევები სრულად შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან და საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. პრეტენდენტი არის კომპეტენტური და გამოცდილი პროფესორი, მას აქვს საკონკურსოდ წარმოდგენილ სილაბუსებში აღწერილი კურსების სწავლების გამოცდილება. მისი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა სრულ თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან.

ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (11 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე), ერთხმად დაუჭირა მხარი **ნუნუ კაპანაძის** კანდიდატურას.

დაადგინეს: სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში გერმანული ფილოლოგია კათედრა) ასოცირებული პროფესორის (გერმანული ენა) ვაკანსიაზე (კატეგორია „ა“) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს: **ნუნუ კაპანაძე**

ნინო ქიმერიძის განათლება, სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული უნარ-ჩვევები, მონაცემები, მიღწევები სრულად შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან და საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. პრეტენდენტი არის კომპეტენტური და გამოცდილი პროფესორი, მას აქვს საკონკურსოდ წარმოდგენილ სილაბუსებში აღწერილი კურსების სწავლების გამოცდილება. მისი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა სრულ თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან.

ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (11 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე), ერთხმად დაუჭირა მხარი **ნინო ქიმერიძის** კანდიდატურას.

დაადგინეს: სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში გერმანული

ფილოლოგია კათედრა) ასოცირებული პროფესორის (გერმანული ენა) ვაკანსიაზე (კატეგორია „ა“) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს: **ნინო ქიმერიძე**

სოფიო მუჯირის განათლება, სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული უნარ-ჩვევები, მონაცემები, მიღწევები სრულად შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან და საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. პრეტენდენტი არის კომპეტენტური და გამოცდილი პროფესორი, მას აქვს საკონკურსოდ წარმოდგენილ სილაბუსებში აღწერილი კურსების სწავლების გამოცდილება. მისი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა სრულ თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან.

ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (11 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე), ერთხმად დაუჭირა მხარი **სოფიო მუჯირის** კანდიდატურას.

დაადგინეს: სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში გერმანული ფილოლოგია კათედრა) ასოცირებული პროფესორის (გერმანული ენა) ვაკანსიაზე (კატეგორია „ა“) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს: **სოფიო მუჯირი**

მანანა ღამბაშიძის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობა მოიცავს მხოლოდ 2007 წლამდე პერიოდს, ხოლო კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში და ტრენინგებში ბოლო აქტივობა 2012 წლითაა წარმოდგენილი. კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან „გერმანული ენის სემასიოლოგია“ არ შეესაბამება თსუ-ში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმას, ხოლო „გერმანული ენის კომპლექსური წინადადების სინტაქსი“ - ნაწილობრივ შესაბამისობაშია თსუს მოთხოვნებთან. ასევე, კონკურსანტს არ წარმოუდგენია ბოლო 6 წლის მანძილზე საერთაშორისო, ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებსა თუ საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი მონაცემები. კომისიამ დაბალი შეფასება მისცა მ. ღამბაშიძის მიერ წარმოდგენილ ნაშრომსა და სამეცნიერო კვლევების კონცეფციას.

შესაბამისად,

ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიამ ერთხმად (11 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) გადაწყვიტა, რომ **მანანა ღამბაშიძის** კანდიდატურა სრულად არ შეესაბამება გამოცხადებულ ვაკანსიას და საკონკურსო პირობებს.

დაადგინეს:

მანანა ღამბაშიძე არ გამოცხადდა გამარჯვებულად სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში გერმანული ფილოლოგია კათედრა) ასოცირებული პროფესორის (გერმანული ენა) ვაკანსიაზე (კატეგორია „ა“).

გ) რომანული ფილოლოგიის კათედრა (ესპანური ენა) ასოცირებული პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეული (კატეგორია „ა“) საბუთები შემოიტანა მარინე კობეშავიძემ.

მარინე კობეშავიძემ შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „**კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს**“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო **მაღალი** შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო **მაღალი** შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო **მაღალი** შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის იყო ასოცირებული პროფესორი და ესპანური ფილოლოგიის და შემდგომ ესპანისტიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი. ამ ხნის განმავლობაში მ. კობეშავიძე აქტიურად არის ჩართული საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში, კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს, მის მიერ წარმოდგენილ შესაძლო წასაკითხ სასწავლო დისციპლინაში ასახელებს საგნებს, რომლებიც ესპანისტიკის საბაკალავრო და რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი; ყველა ეს სასწავლო კურსი - 12 სილაბუსიდან 7 სწავლების ბაკალავრიატის საფეხურისა და 5 - მაგისტრატურის, ყველა საავტორო სილაბუსია. კონკურსანტს აქვს აღნიშნული კურსების წაკითხვის მრავალწლიანი გამოცდილება. მის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში იკვეთება კვლევითი სიახლეების მიება და მათი სასწავლო სამეცნიერო პრაქტიკაში რეალიზაცია და სიახლეების დანერგვის პრაქტიკა.

კონკურსანტის ნაშრომები, პუბლიკაციები გამოქვეყნებულია ადგილობრივ და უცხოეთში, მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში და საერთაშორისო საკონფერენციო მასალებში და კრებულებში; აღნიშნული ნაშრომები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას;

კონკურსანტს იყო რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის „ესპანური ტოპონიმების, ანთროპონიმების და დარგობრივი ტერმინების (ლინგვისტურ-ლიტერატურულ, სამართლებრივ და საჯარო ადმინისტრაციის სფეროებში) დაზუსტება და ქართულ ენაში მათი გამოყენების ნორმების შემუშავება“ ხელმძღვანელი, რომლის შედეგებიცაა მონოგრაფია. მ. კობეშვიძეს ეკუთვნის ასევე სასწავლო მეთოდური სახელმძღვანელო ესპანურ ენაში, სასწავლო კურსები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო კურსების სწავლებაში.

კონკურსანტს ბოლოს 6 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში; ასევე სხვადასხვა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და ტრენინგებში ერაზმუს + მიერ დაფინანსებულ პროგრამებში ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში. იგი აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან: საერთაშორისო პროექტი -Refranero Multilingue (<https://cvc.cervantes.es/lengua/refranero/>) - მრავალენოვანი ანდაზები (ქართული), სერვანტესის ინსტიტუტი; აქტიურად თანამშრომლობს გრანადის უნივერსიტეტთან.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემის და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად მიღებული მოსაზრებების საფუძველზე დაადგინა პრეტენდენტის კანდიდატურების შესაბამისობა გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან.

კერძოდ, კომისიამ დაადგინა, რომ

მარინა კობეშვიძის განათლება, სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული უნარ-ჩვევები, მონაცემები, მიღწევები სრულად შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან და საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. მარინა ანდრაზაშვილი არის კომპეტენტური და გამოცდილი პროფესორი, მას აქვს საკონკურსოდ წარმოდგენილ სილაბუსებში აღწერილი კურსების სწავლების გამოცდილება. მისი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა სრულ თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან.

ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (11 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე), ერთხმად დაუჭირა მხარი **მარინა კობეშვიძის** კანდიდატურას.

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის (რუსული ენის კათედრა) ასოცირებული პროფესორის 2 (ორი) საშტატო ერთეული (კატეგორია „ა“) და რუსული ლიტერატურის კათედრა ასოცირებული

პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეული (კატეგორია „ა“) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში განცხადება შემოიტანეს: **ირინე კაპანაძემ, მარინე ალექსიძემ და მაია თუხარელმა**

ირინე კაპანაძემ შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით **ირინე კაპანაძემ** მიიღო შეფასება „**კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს**“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილ-თან) მიიღო **მაღალი** შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა) მიიღო **მაღალი** შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში **ი. კაპანაძემ** მიიღო მაღალი შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ 2006-2009 წწ. იყო ასოცირებული პროფესორი, ხოლო შემდეგ მრავალი წელი იყო მოწვეული პროფესორი.

ამ ხნის განმავლობაში **ი.კაპანაძე** ჩართული იყო და არის საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში, კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს, მის მიერ შესაძლო წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში ასახელებს საგნებს, რომლებიც რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო და სლავისტიკის სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი; ყველა დახელებული სასწავლო კურსიზაკალავრიტისა და მაგისტრატურის საფეხურებზე ორიგინალურია, კონკურსანტს აქვს მათი წაკითხვის მრავალწლიანი გამოცდილება. მის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულიად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში იკვეთება კვლევითი იახლეების ძიება და მათი სასწავლო სამეცნიერო პრაქტიკაში რეალიზაცია და სიახლეების დანერგვის პრაქტიკა.

კონკურსანტის სამეცნიერო პუბლიკაციები გამოქვეყნებულია ადგილობრივ და საერთაშორისო მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში და საერთაშორისო საკონფერენციო მასალებში. კონკურსანტის სამეცნიერო ნაშრომები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას.

კონკურსანტი არის 80 სამეცნიერო ნაშრომის, 3 მონოგრაფიის და 6 სახელმძღვანლოს ავტორი.

კონკურსანტს ბოლო 6 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში. კონკურსანტი არის არაერთი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცენზენტი.

კონკურსანტი არის პროფესიონალი კადრი, რომლის შენარჩუნება საუნივერსიტეტო სივრცეში არის გარანტია უნივერსიტეტის სამომავლო პროფესიული განვითარებისა.

გასაუბრების დროს კონკურსანტმა იმსჯელა დარგის პერსპექტივებზე, რომელიც სრულ თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან.

მარინე ალექსიძემ შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება), I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება **„კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“**; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილ-თან) მიიღო **მაღალი** შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა) მიიღო **მაღალი** შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურ-სანტმა მიიღო **მაღალი** შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებაზე გაითვალისწინა, რომ ის მრავალი წელი იკავებს თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სლავისტიკის ინსტიტუტის ასოცირებულ პროფესორის თანამდებობას.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას აღნიშნა, რომ კონკურსანტი არის საბაკალავრო პროგრამის „რუსული ფილოლოგია“ და სამაგისტრო პროგრამის „სლავური ფილოლოგია“ ხელმძღვანელი, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო ლინგვისტური კურსების სილაბუსების - ავტორი, მას აქვს ამ კურსების წაკითხვის მრავალწლიანი გამოცდილება. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში იკვეთება კვლევითი სიახლეების ძიება და მათი სასწავლო სამეცნიერო პრაქტიკაში რეალიზაცია და სიახლეების დანერგვის პრაქტიკა.

კონკურსანტის სამეცნიერო პუბლიკაციები გამოქვეყნებულია ადგილობრივ და უცხოეთის მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში და საერთაშორისო საკონფერენციო მასალებში. კონკურსანტის სამეცნიერო ნაშრომები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას.

კონკურსანტი არის 143 სამეცნიერო ნაშრომის, 3 მონოგრაფიის და 22 სახელმძღვანლოს და დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორი.

კონკურსანტს ბოლო 6 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში. კონკურსანტი არის არაერთი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცენზენტი.

გასაუბრების ეტაპზე პრეტენდენტმა იმსჯელა დარგის განვითარების პერსპექტივებზე, რომელიც თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. კონკურსანტი არის პროფესიონალი კადრი, რომლის შენარჩუნება საუნივერსიტეტო სივრცეში არის გარანტია უნივერსიტეტის სამომავლო პროფესიული განვითარებისა.

მაია თუხარელმა შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „**კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს**“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილ-თან) მიიღო **მაღალი** შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა) მიიღო **მაღალი** შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო **მაღალი** შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებაზე გაითვალისწინა, რომ ის მრავალი წელი იკავებს თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სლავისტიკის ინსტიტუტის ასოცირებულ პროფესორის თანამდებობას.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას აღნიშნა, რომ კონკურსანტი არის სამაგისტრო პროგრამის „სლავური ფილოლოგია“ თანახელმძღვანელი, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსების (ლიტერატურული) - სილაბუსების - ავტორი, მას აქვს ამ კურსების წაკითხვის მრავალწლიანი გამოცდილება. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ. წარდგენილია 18 სილაბუსი (საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები).

კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში იკვეთება კვლევითი სიახლეების ძიება და მათი სასწავლო სამეცნიერო პრაქტიკაში რეალიზაცია და სიახლეების დანერგვის პრაქტიკა.

კონკურსანტის სამეცნიერო პუბლიკაციები გამოქვეყნებულია ადგილობრივ და უცხოეთის მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში და საერთაშორისო საკონფერენციო მასალებში. კონკურსანტის სამეცნიერო ნაშრომები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას.

კონკურსანტი არის 44 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და მრავალსამეცნიერო კრებულის რედაქტორი; ბოლო 6 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული

საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში; არის არაერთი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცენზენტი.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა კონკურსანტების პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კონკურსანტი არის დიდი გამოცდილების მქონე პროფესიონალი, რომელიც სრულად ჩართულია სლავისტიკის ინსტიტუტის სასწავლო, სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობაში.

ირინა კაპანაძის განათლება, სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული უნარ-ჩვევები, მონაცემები, მიღწევები სრულად შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან და საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. პრეტენდენტი არის კომპეტენტური და გამოცდილი პროფესორი, მას აქვს საკონკურსოდ წარმოდგენილ სილაბუსებში აღწერილი კურსების სწავლების გამოცდილება. მისი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა სრულ თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან.

ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (11 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე), ერთხმად დაუჭირა მხარი **ირინა კაპანაძის** კანდიდატურას.

დაადგინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის (რუსული ენის კათედრა) ასოცირებული პროფესორის სამტატო ერთეულზე (კატეგორია „ა“) გამარჯვებულად გამოცხადდეს **ირინა კაპანაძე**

მარინა ალექსიძის განათლება, სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული უნარ-ჩვევები, მონაცემები, მიღწევები სრულად შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან და საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. პრეტენდენტი არის კომპეტენტური და გამოცდილი პროფესორი, მას აქვს საკონკურსოდ წარმოდგენილ სილაბუსებში აღწერილი კურსების სწავლების გამოცდილება. მისი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა სრულ თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან.

ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (11 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე), ერთხმად დაუჭირა მხარი **მარინა ალექსიძის** კანდიდატურას.

დაადგინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სლავისტიკის სასწავლო-

სამეცნიერო ინსტიტუტის (რუსული ენის კათედრა) ასოცირებული პროფესორის საშტატო ერთეულზე (კატეგორია „ა“) გამარჯვებულად გამოცხადდეს **მარინა ალექსიძე**

მაია თუხარელის განათლება, სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული უნარ-ჩვევები, მონაცემები, მიღწევები სრულად შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან და საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. პრეტენდენტი არის კომპეტენტური და გამოცდილი პროფესორი, მას აქვს საკონკურსოდ წარმოდგენილ სილაბუსებში აღწერილი კურსების სწავლების გამოცდილება. მისი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა სრულ თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან.

ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (11 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე), ერთხმად დაუჭირა მხარი **მაია თუხარელის** კანდიდატურას.

დაადგინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის (რუსული ლიტერატურის კათედრა) ასოცირებული პროფესორის საშტატო ერთეულზე (კატეგორია „ა“) გამარჯვებულად გამოცხადდეს **მაია თუხარელი**

3. კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში - კლასიკური ფილოლოგიის კათედრა ასოცირებული პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეული (კატეგორია „ა“) და ასოცირებული პროფესორის 2 (ორი) საშტატო ერთეული (კატეგორია „გ“) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში განცხადება სემოიტანეს : იამზე გაგუამ(კატეგორია „ა“) , ეკატერინე კობახიძემ და ირინე დარჩიამ(კატეგორია „გ“).

იამზე გაგუამ შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „**კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს**“, II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო **მაღალი შეფასება**; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო **მაღალი შეფასება**; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო **მაღალი შეფასება**.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის მრავალი წელი იკავებდა თსუ-ში ასოცირებული პროფესორის თანამდებობას.

ამ ხნის მანძილზე იამზე გაგუა აქტიურად იყო და არის ჩართული საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში, კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს, მის მიერ შესაძლო წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში ასახელებს საგნებს, რომლებიც კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი. მის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს. კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში იკვეთება კვლევითი სიახლეების ძიება და მათი სასწავლო-სამეცნიერო პრაქტიკაში რეალიზაცია და სიახლეების დანერგვის პრაქტიკა.

აპლიკანტის ნაშრომები გამოქვეყნებულია საქართველოსა და უცხოეთში მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში და საერთაშორისო მასალებში. ისინი შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და სრულად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

იამზე გაგუა არის მრავალი ნაშრომის ავტორი, მათ შორის: ლათინური ენის სახელმძღვანელოების (6 სახელმძღვანელო), ლექსიკონების (ლათინური იურიდიული ლექსიკონი - თანაავტორი და რედაქტორი; ლათინურ ხატოვან გამოთქმათა ლექსიკონი; მორფემათა ლექსიკონი...), მონოგრაფიები (6 მონოგრაფია). მასვე ეკუთვნის თარგმანები (დაახლოებით 12) ციცერონის, ოვიდიურის, ტაციტუსის, პლავტუსის და სხვა ავტორების, რომელთაც თან ახლავს ვრცელი გამოკვლევა და კომენტარები, ასევე ქართული პოეზიის ნიმუშების თარგმანები ლათინურად. კონკურსანტი არის რამდენიმე სამეცნიერო გრანტის მონაწილე.

ბოლო 6 წლის განმავლობაში კონკურსანტს მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციაში; არის 1 სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი, სადოქტორო ნაშრომების რეცენზენტი, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელი და რეცენზენტი; რამდენიმე თარგმანის (5) ავტორი, 2025 წელს გამოსცა ციცერონის ნაშრომების ქართული თარგმანი ორ ტომად, ასევე მონოგრაფიები „ანტიკური და ქართული მწერლობა. ლიტერატურული პარალელები“ და „ნარკვევები რომაული მწერლობის ისტორიიდან“. მონოგრაფიებში წარმოდგენილია მითოლოგიური პარალელები ქართულ და ანტიკურ სამყაროში, ეპიკური გმირის ზოგადი დახასიათება ქართულ და ანტიკურ მწერლობაში, რომელ მწერალთა კონცეფციები ომსა და მშვიდობაზე, ოქროს საუკუნეზე, სწავლა-აღზრდაზე.

გასაუბრებაზე იამზე გაგუამ ისაუბრა პედაგოგიურ და სამეცნიერო მიღწევებზე, საკონკურსოდ წარმოდგენილ სტატიასა და დარგის განვითარების კონცეფციაზე. კერძოდ, კონკურსანტის სამეცნიერო კონცეფცია, რომელიც ინტერდისციპლინურ პრინციპზეა აგებული, მიემართება ჰუმანიტარული მეცნიერების რამდენიმე დარგსა და სფეროს. იგი ქრონოლოგიურად მისდევს იმ მრავალსაუკუნოვან გზას, რომელიც გაიარა ევროპულმა ცივილიზაციამ მისი სათავეებიდან თანამედროვეობამდე, ემსახურება ბერძნულ-რომაული, ქართული და ევროპული კულტურების ცალკეულ პრობლემათა ერთ კონტექსტში განხილვას და გადაჭრის მცდელობას.

ეკატერინე კობახიძემ შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება **„კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“**; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო **მაღალი** შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო **მაღალი** შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო **მაღალი** შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის მრავალი წელი იკავებდა თსუ-ის ასოცირებული პროფესორის თანამდებობას.

ამ ხნის განმავლობაში ეკატერინე კობახიძე აქტიურად იყო და არის ჩართული საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში, კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს, მის მიერ შესაძლო წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში ასახელებს საგნებს, რომლებიც კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი; კონკურსანტს აქვს ყველა წარმოდგენილი კურსის წაკითხვის მრავალწლიანი გამოცდილება. მის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში იკვეთება კვლევითი სიახლეების ძიება და მათი სასწავლო სამეცნიერო პრაქტიკაში რეალიზაცია და სიახლეების დანერგვის პრაქტიკა.

კონკურსანტის ნაშრომები - მონოგრაფიები, სტატიები, სახელმძღვანელოები, თარგმანები გამოქვეყნებულია საქართველოსა და უცხოეთში, მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში და საერთაშორისო საკონფერენციო მასალებში; ნაშრომები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს; პუბლიკაციები უცხოეთში და საქართველოში (50-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის - 5 მონოგრაფია (2- ორენოვანი), 4 სახელმძღვანელო, 6 თარგმანი, მაღალრეიტინგულ ჟურნალებში ქართულად და ინგლისურად გამოქვეყნებული სტატიები) და მისი

ციტირებები ცხადყოფს, რომ კონკურსანტის სამეცნიერო მუშაობა ხელს უწყობს ახალი კვლევითი თემატიკის შემოტანას სამეცნიერო სივრცეში, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას.

კონკურსანტს **ბოლო 6 წლის განმავლობაში** მონაწილეობა აქვს მიღებული 23 საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში; არის საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზატორი და საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე/წევრი, ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალ „ლოგოსის“ რედაქტორი, მონაწილეობს უცხოეთის უნივერსიტეტებთან/სამეცნიერო ცენტრთან ერთობლივ სასწავლო ან სამეცნიერო პროგრამებში/პროექტებში, თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან, ესენია: ბოლონიის უნივერსიტეტი; პერუჯის უნივერსიტეტი, ტუმას უნივერსიტეტი, ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი, მადრიდის კომპლუტენსეს უნივერსიტეტი. ბოლო 6 წლის განმავლობაში მიღებული აქვს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2 გრანტი ფუნდამენტური კვლევების მიმართულებით; განსაკუთრებით ყურადსაღებია კონკურსანტის მუშაობა სტუდენტებთან. ეკატერინე კობახიძე არის არაერთი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცენზენტი, აქტიური სტატუსის მქონე სამი დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

კომისიამ მოიწონა კონკურსანტის სამეცნიერო კვლევების კონცეფცია და მაღალი შეფასება მისცა მის მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილ ნაშრომს.

გასაუბრებაზე პრეტენდენტმა ისაუბრა დარგის განვითარების კონცეფციაზე, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ინტერნაციონალიზაციისა და უცხოეთის წამყვან ცენტრებთან ნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარებასა და სრულყოფას.

ირინე დარჩიამ შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება **„კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“**; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო **მაღალი** შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო **მაღალი** შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ირინე დარჩიას მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი ყველა (თერთმეტივე) სილაბუსი სრულად შეესაბამება კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო და ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურას, ხოლო სადოქტორო კურსი თავად კონკურსანტის საავტორო დისციპლინაა, რომელიც მისი ინიციატივით და თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების

ჩართულობით მომზადდა 2010 წელს და მას შემდეგ დიდი წარმატებით იკითხება როგორც თსუ-ში, ისე სულხან-საბას უნივერსიტეტში.

გარდა ამისა, ირინე დარჩიას მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი ყველა სილაბუსი შემუშავებულია არა მხოლოდ თსუ-ს შიდა რეგულაციების და საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნების სრულად დაცვით, არამედ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, რადგან კონკურსანტი თავად აფასებს ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს როგორც ლატვიის, ლიტვის, სლოვენიის, ირლანდიის სააკრედიტაციო სააგენტოების ექსპერტი, მალტის სააკრედიტაციო სააგენტოს სააპელაციო კომისიის და უკრაინის სააკრედიტაციო სააგენტოს საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრი.

ირინე დარჩიას სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას საკონკურსო კომისიამ ასევე გაითვალისწინა მისი მრავალწლიანი, კერძოდ, 29 წლიანი გამოცდილება და აგრეთვე ის ფაქტი, რომ იგი პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში. კერძოდ, კლასიკური ფილოლოგიის მიმართულებით საჯარო ლექციებისა და ინტენსიური სასწავლო კურსების წასაკითხად 2001-2025 წლებში მიწვეული იყო ბერლინის (გერმანია), ათენის, თესალონიკის, პატრის (საბერძნეთი), მულუზის (საფრანგეთი), პიზის, ბოლონიის (იტალია), ოსლოს, ბერგენის (ნორვეგია), კოპენჰაგენის (დანია), ბუქარესტის (რუმინეთი) უნივერსიტეტებში. კომისიამ საგანგებოდ აღნიშნა ის ფაქტი, რომ ბოლო 6 წელიწადში ირინე დარჩია იყო ბოლონიის უნივერსიტეტში სადისერტაციო კომისიების წევრი და ბოლონიის უნივერსიტეტში დაცული დისერტაციების რეცენზენტი, ასევე ბოლონიის უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრი.

ირინე დარჩიას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის შეფასების საკონკურსო კომისიამ გაითვალისწინა რამდენიმე ფაქტორი: ა) მისი სამეცნიერო-კვლევითი ინტერესების ფართო სფერო (პლატონის ფილოსოფია, ბერძნული ენის ისტორია, კლასიკური ენების დიდაქტიკა, ანტიკური ფერთამეტყველება, ციფრული ჰუმანიტარია, ანტიკურობის რეცეფცია). მთლიანობაში ის 60 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელთა შორისაა საქართველოსა და უცხოეთში გამოცემული მონოგრაფიები, კოლექტიური მონოგრაფიები, სახელმძღვანელო, თარგმანი, ლექსიკონები, სტატიები და სხვ.; ბ) მის მიერ გამოყენებული ინტერდისციპლინური მიდგომები კვლევის პროცესში (მას ეკუთვნის რამდენიმე ნაშრომი ციფრულ ჰუმანიტარიაში. იგი მონაწილეობდა ციფრული ეპიგრაფიკის პროექტში და ჩართულია ინტერდისციპლინური ენციკლოპედიის „ანტიკური კავკასიის“ ციფრული ვერსიის შემუშავებაში); გ) სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში წარმოდგენილი დარგის განვითარების ფართო, თანამედროვე და ინტერდისციპლინური ხედვა, რომელიც სრულად შეესაბამება კლასიკური ფილოლოგიის განვითარების უახლეს საერთაშორისო

ტენდენციებს; დ) მის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო, მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში და საკონფერენციო მასალებში; ე) მისი მონაწილეობა პრესტიჟულ საერთაშორისო კონფერენციებში არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთ (მაგალითად, ბოლო 6 წელიწადში მან მონაწილეობა მიიღო კლასიკური ფილოლოგიის პროფილის 15 სამეცნიერო ფორუმში, რომლებიც გაიმართა თბილისში, ბათუმში (საქართველო), იენაში, ლაიპციგში, ჰამბერგში (გერმანია), ფრასკატიში, ბოლონიაში (იტალია), ლონდონში (ინგლისი), რიგაში (ლატვია), ერევანში (სომხეთი)); ვ) მისი ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში (განსაკუთრებით მისი აქტივობა ციფრული ანტიკური კავკასიის პროექტის ინტერნაციონალიზაციის პროცესში. ირინე დარჩიას ინიციატივით და ორგანიზებით დაიწყო თანამშრომლობა რომის საპიენცას უნივერსიტეტთან, რომელთან კოლაბორაციით მოხდება საენციკლოპედიო ელექტრონული პროგრამის (software) Cadmus-ის ადაპტირება და დანერგვა).

საკონკურსო კომისიამ საგანგებოდ გამოყო ირინე დარჩიას წვლილი კოლექტიური მონოგრაფიის შექმნაში: Hunt, S. and Bulwer (ed.), J., Teaching Classics in Schools Worldwide. Bloomsbury, London, 2025. ეს არის ნაშრომი, რომელიც გამოიცა ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ გამომცემლობაში და ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ქართული კლასიკური ფილოლოგია და კლასიკური ენების სწავლება საქართველოში წარმოჩენილ იქნა გლობალურ კონტექსტში.

კომისიამ ასევე საგანგებოდ გამოყო ირინე დარჩიას ორგანიზატორული უნარები. კერძოდ, მან 2018, 2021 და 2023 წლებში რუსთაველის ფონდიდან მის მიერ მოპოვებული დაფინანსებით ორგანიზება გაუწია შემდეგ მასშტაბურ საერთაშორისო კონფერენციებს: „კავკასიის აღქმა მითებსა და ლიტერატურაში ანტიკურობიდან თანამედროვეობამდე“ იენის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, „კლასიკური ენების სწავლება XXI საუკუნეში: Vitae Discimus“ (ონლაინ), „ანტიკური და ბიზანტიური სამყარო ინტერდისციპლინური კვლევების შუქზე“ იენის და ტარტუს უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით (ონლაინ), „პლატონის ფილოსოფია ინტერდისციპლინურ კონტექსტში“. გარდა ამისა, 2017 წლიდან ირინე დარჩია ხელმძღვანელობს კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო და ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამებს, რომლებმაც მისი კოორდინირებით 2022 წელს წარმატებით მიიღო უპირობო აკრედიტაცია, ანგარიშის წარდგენის გარეშე.

საკონკურსო კომისიამ განსაკუთრებით დადებითად შეაფასა ირინე დარჩიას საერთაშორისო ინიციატივები და მისი წვლილი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის ინტერნაციონალიზაციის პროცესში. კერძოდ, საგანგებოდ გამოიყო ბოლო 6 წელიწადში მისი საქმიანობის შემდეგი ასპექტები:

ა) თანამშრომლობა ერაზმუს მუნდუსის სამაგისტრო პროგრამის კონსორციუმთან (ბოლონიის, თესალონიკის, ლისაბონის, სტრასბურგის და მულუზის უნივერსიტეტები). თსუ-სთან ამ კონსორციუმის თანამშრომლობის ინიცირება, ხელშეკრულების გაფორმების ორგანიზება, ინგლისურენოვანი სამაგისტრო მოდულის/სამაგისტრო პროგრამის სააკრედიტაციოდ მომზადება და სამი უცხოელი სტუდენტის მიღება, რომელთაც სწავლის დასრულების შემდეგ მიენიჭებათ თსუ-ს (კლასიკური ფილოლოგიის მაგისტრი), ბოლონიის, ლისაბონის და სტრასბურგის უნივერსიტეტების მაგისტრის აკადემიური ხარისხი;

ბ) ევროკლასიკასთან თანამშრომლობის ინიცირება, თსუ-ს გაწევრიანება ევროკლასიკაში, 2026 წელს ევროკლასიკის მასპინძელი ქვეყნის/ინსტიტუციის სტატუსის მოპოვება;

გ) ირინე დარჩიას მიერ Accademia Vivarium Novum-თან თანამშრომლობის ინიცირება, თსუ-სთან ხელშეკრულების გაფორმების ორგანიზება, სტუდენტების სტაჟირებაზე გაგზავნის ორგანიზება;

დ) ირინე დარჩიას ინიცირებით, ევროპულ ლიტერატურაში საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის განხორციელება (ორმაგი აკადემიური ხარისხის მინიჭებით), აღნიშნული სადოქტორო პროგრამის ოთხმა დოქტორანტმა 2018 და 2020 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაციები და მათ პირველად ამიერკავკასიაში მიენიჭათ ორმაგი აკადემიური ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში;

ე) Sunoikisis DC - ციფრულ სიბველეთმცოდნეობაში ერთობლივი საერთაშორისო კურსის შემუშავება და განხორციელება ლაიპციგის და ტაფტსის უნივერსიტეტებთან, ჰარვარდის უნივერსიტეტის ელინისტიკის ცენტრთან თანამშრომლობით.

საკონკურსო კომისიამ აღნიშნა ისიც, რომ ირინე დარჩია არის ევროკლასიკის დელეგატი - საქართველოს წარმომადგენელი, პლატონისტა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, ბერძნული ენის გავრცელების საერთაშორისო ორგანიზაციის (ODEG) საპატიო წევრი. გარდა ამისა, 2004 წელს მან მიიღო საბერძნეთის რესპუბლიკის კ. კალიმნოსის მუნიციპალიტეტის პრემია ბერძნული ენის შესწავლასა და სწავლებაში მიღწეული განსაკუთრებული წარმატებისათვის, ხოლო 2023 წელს მას გადაეცა ღირსების მედალი „საქართველოში კლასიკური ფილოლოგიის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ქართული კლასიკური ფილოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრაციისა და საქართველოსა და კავკასიის ძველი კულტურების კვლევის ხელშეწყობისათვის“.

საკონკურსო კომისიის აზრით, ირინე დარჩიას პედაგოგიური, სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობა ხელს შეუწყობს ქართული კლასიკური ფილოლოგიის ინტერნაციონალიზაციას, მის ინტეგრაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო და

კვლევით სივრცეში, ინოვაციური და ინტერდისციპლინური მიდგომების დანერგვას, სწავლებისა და კვლევის ხარისხის განვითარებას, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

გასაუბრების დროსირინე დარჩიამ ისაუბრა დარგის განვითარების კონცეფციასა და კვლევით ინტერესებზე.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა კონკურსანტების პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა.

იამზე გაგუას განათლება, სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული უნარ-ჩვევები, მონაცემები, მიღწევები სრულადშესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან და საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. პრეტენდენტი არის კომპეტენტური და გამოცდილი პროფესორი, მას აქვს საკონკურსოდ წარმოდგენილ სილაბუსებში აღწერილი კურსების სწავლების გამოცდილება. მისი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა სრულ თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან.

ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (11 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე), ერთხმად დაუჭირა მხარი **იამზე გაგუას** კანდიდატურას.

დაადგინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში - კლასიკური ფილოლოგიის კათედრა ასოცირებული პროფესორის 1 (ერთი) სამტატო ერთეული (კატეგორია „ა“) გამარჯვებულად გამოცხადდეს **იამზე გაგუა**.

ეკატერინე კობახიძის განათლება, სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული უნარ-ჩვევები, მონაცემები, მიღწევები სრულადშესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან და საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. პრეტენდენტი არის კომპეტენტური და გამოცდილი პროფესორი, მას აქვს საკონკურსოდ წარმოდგენილ სილაბუსებში აღწერილი კურსების სწავლების გამოცდილება. მისი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა სრულ თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან.

ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (11 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე), ერთხმად დაუჭირა მხარი **ეკატერინე კობახიძის** კანდიდატურას.

დაადგინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში - კლასიკური ფილოლოგიის კათედრა ასოცირებული პროფესორის სამტატო ერთეული (კატეგორია „გ“) გამარჯვებულად გამოცხადდეს **ეკატერინე კობახიძე**.

ირინე დარჩიას განათლება, სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული უნარ-ჩვევები, მონაცემები, მიღწევები სრულად შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან და საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. პრეტენდენტი არის კომპეტენტური და გამოცდილი პროფესორი, მას აქვს საკონკურსოდ წარმოდგენილ სილაბუსებში აღწერილი კურსების სწავლების გამოცდილება. მისი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა სრულ თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან.

ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (11 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე), ერთხმად დაუჭირა მხარი **ირინე დარჩიას** კანდიდატურას.

დაადგინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში - კლასიკური ფილოლოგიის კათედრა ასოცირებული პროფესორის სამტატო ერთეული (კატეგორია „გ“) გამარჯვებულად გამოცხადდეს **ირინე დარჩია**.

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის ვაკანსიაზე („ა“ კატეგორია) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა პრეტენდენტები: ნინო დარასელია, ირინე გველესიანი, ნათელა ნემსაძე.

გერმანული ფილოლოგიის კათედრის (ლიტერატურა) ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანსიაზე („ა“ კატეგორია) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად ერთხმად გამოვლინდა პრეტენდენტი - კონსტანტინე ბრეგაძე.

გერმანული ფილოლოგიის კათედრის (გერმანული ენა) ასოცირებული პროფესორის 4 ვაკანსიაზე („ა“ კატეგორია) გამოცხადებულ კონკურსში

გამარჯვებულად ეგამოვლინდნენ პრეტენდენტები -მარიამ ანდრაზაშვილი, ნუნუ კაპანაძე, ნინო ქიქერიძე, სოფიო მუჯირი.

რომაული ფილოლოგიის კათედრის (ესპანური ენა) ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანსიაზე („ა“ კატეგორია) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა პრეტენდენტი - მარინე კობეშავიძე.

ბ) სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის რუსული ენის კათედრის ასოცირებული პროფესორის 2 ვაკანსიაზე („ა“ კატეგორია) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა პრეტენდენტები: მარინე ალექსიძე, ირინე კაპანაძე

რუსული ლიტერატურის კათედრის ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანსიაზე („ა“ კატეგორია) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა პრეტენდენტი - მაია თუხარელი.

გ) კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში - კლასიკური ფილოლოგიის კათედრა ასოცირებული პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეული (კატეგორია „ა“) გამარჯვებულად გამოცხადდა იამზე გაგუა და ასოცირებული პროფესორის 2 (ორი) საშტატო ერთეული (კატეგორია „გ“) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდნენ ეკატერინე კობახიძე და ირინე დარჩია.

2. გადაეცეს კომისიის შემადგამებელი სხდომის ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად

კომისიის თავმჯდომარე:

/ პროფ. მ. რუსიშვილი/



კომისიის მდივანი:

ასოც.პროფ. რ. დოლიძე/



კომისიის წევრები: /

კ. ჯიშინაძე
გ. მ.

3181

ნ. კორძია
მ. გ. მ.
მ. ა. მ.

მ. გ. მ.
მ. გ. მ.

მ. გ. მ.
მ. გ. მ.

თარიღი: 9.10.2025